ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2962430

ნომერი: AR1455564

თარიღი : 10.11.2016

გაცემის თარიღი : 25.11.2016

გაცნობის თარიღი : 02.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N80ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მამალაძე პ/ნ 60002008770
- ქუთაისი შ.რუსთაველის გამზ. N 25

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1455564 ელექტრონული განაცხადი, ქ. თბილისში, მირიან მეფის ქ. #80ა-ში (ს/კ #01.72.14.038.099) მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 07 ნოემბრის #2933918 ბრძანებით ქ. თბილისში, მირიან მეფის ქ. #80ა-ში, კერძო

საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.72.14.038.099), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2016 წლის 15 ნოემბერს #AR1456535 და #AR1456536 ელექტრონული განცხადებებით სამსახურს მომართა მოქალაქე მოჰამედ ჰასან გივე ჩიანმა და მოითხოვა 07.11.2016წ. #2933918 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge